ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 4/

ნოემბერი 2012 წელი

შემსყიდველი – ქ. ფოთის №3 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის გოჩა.ქორქიას სახით.

მისამართი: ქ. ფოთი, აკაკის ქ.№26
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს " ვითიბი ბანკი" ჯორჯია
საინდ.კოდი 215085011
მიმწოდებელი: – ი.მ."თენგიზ წულაია"

მისამართი: ქ. ფოთი კოსტავას №3
საბანკო რეკვიზიტები: ი.მ. "თენგიზ წულაია"
საინდეტიფიკაციო კოდი 62001025730

ერთი მხრივ – შემსყიდველი და მეორე მხრივ – მიმწოდებელი, ადასტურებენ რომ მათ შორის მიღწეულია
შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს დამკვეთს დამკვეთის მიერ წინასწარ შეთანხმებული სამეურნეო საქონელი ხოლო დამკვეთი იღებს ვალდებულებას მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 45 ლარი 00 თეთრი

1.3 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება–ჩაბარება

2.1 საქონლის გაცემა ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

2.3 საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები და დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.